მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი 2023

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის შედეგები

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ზომავს და ადარებს ცხოვრების ხარისხსა და დონეს საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის. 2023 წლის ცხოვრების ხარისხის ინდექსი მერყეობს უმაღლესი 67.35-დან, რომელიც დედაქალაქმა თბილისმა მიიღო, უმცირეს 27.57-მდე, რომელიც ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. 1-ელი გრაფიკი აჩვენებს 64 მუნიციპალიტეტის რეიტინგს. ინდექსში თბილისის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, მას მოსდევს ბათუმი, დანარჩენ მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებები კი შედარებით უმნიშვნელოა. საშუალო ინდექსის მაჩვენებელი 39.60-ს შეადგენს, 22 მუნიციპალიტეტში ფიქსირდება საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი, ხოლო 38 მუნიციპალიტეტში – საშუალოზე დაბალი.

გრაფიკი 1. ცხოვრების ხარისხის ინდექსი მუნიციპალიტეტების მიხედვით



შეფასების მიხედვით, საქართველოში ცხოვრების ხარისხი ყველაზე მაღალი არის თბილისში. დედაქალაქი ლიდერობს ოთხივე მიმართულებით და მთლიანობაში აღწევს 67.35 ინდექსის პუნქტს. თბილისმა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 77.62 ინდექსის პუნქტი - ეკონომიკის მიმართულებით მიიღო, ყველაზე დაბალი კი – დემოგრაფიასა და სოციალურ ხელმისაწვდომობაში, რისი მიზეზიც მოსახლეობის მაღალი რაოდენობაა.

თბილისს მოსდევს ბათუმი 11.54 ინდექსის პუნქტის სხვაობით, რაც მოსალოდნელი შედეგია. ბათუმში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ეკონომიკის მიმართულებით, რაც საკმაოდ ახლოსაა დედაქალაქის მაჩვენებელთან, ხოლო ყველაზე დაბალი – ადგილობრივ დემოკრატიასა და გენდერულ თანასწორობაში, რაც არჩევნებში დაბალი აქტივობითაა გამოწვეული.

მესამე ადგილზეა ყაზბეგი, 16.20 ინდექსის პუნქტის ჩამორჩენით თბილისთან მიმართებით და 4.66-ით – ბათუმთან. ყაზბეგში ყველაზე კარგი შედეგი ფიქსირდება ეკონომიკის მიმართულებით, რაც ძირითადად განპირობებულია ტურიზმის ინდიკატორების მაღალი მაჩვენებლით და შედარებით დაბალი სოციალური მოწყვლადობით. ყაზბეგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე მიმართულებაა ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა, განსაკუთრებით დაბალი შედეგი აქვს ადგილობრივ მმართველობაში, სხვა ქვე-მიმართულებებთან შედარებით.

პირველი 10 მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი	რეიტინგი	ინდექსი	ეკონომიკა	დაკავშირებულობა, ინფრასტრუქტურა და სერვისები	დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა	ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა
თბილისი	1	67.35	77.62	70.67	52.53	68.56
ბათუმი	2	55.81	73.96	53.36	51.66	44.25
ყაზბეგი	3	51.15	72.14	50.06	43.87	38.52
ფოთი	4	49.12	66.80	33.17	37.22	59.27
რუსთავი	5	46.79	58.27	43.51	38.26	47.11
ბორჯომი	6	45.59	62.27	45.07	40.29	34.72
თელავი	7	45.32	47.97	50.34	31.99	50.99
მცხეთა	8	44.53	62.97	42.58	29.76	42.79
ქუთაისი	9	44.18	39.07	49.42	44.27	43.97
ხარაგაული	10	43.58	38.02	47.80	27.79	60.70

მე-2 გრაფიკი ასახავს ცხოვრების ხარისხის საშუალო მაჩვენებელს თითოეული რეგიონისთვის (თბილისის გამოკლებით) და გამოყოფს რეგიონის შიგნით მუნიციპალიტეტებს, რომელთაც ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებელი აქვთ. რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი ინდექსის მაჩვენებელი (47.17) ფიქსირდება აჭარაში, სადაც ბათუმს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ხულოს კი – ყველაზე დაბალი. აჭარას მოსდევს მცხეთა-მთიანეთი ცხოვრების ხარისხის ინდექსის საშუალო

მაჩვენებლით (42.24), სადაც ყაზბეგს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონს (32.11), რაც ოდნავ დაბალია გურიის მაჩვენებელზე (36.96).

გრაფიკი 2. მუნიციპალიტეტები რეგიონებში ყველაზე მაღალი და დაბალი ცხოვრების ხარისხის ინდექსით (თბილისის გარდა)



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ეკონომიკის მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი დაკავშირებულობის, ინფრასტრუქტურის და სერვისების მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი დემოგრაფიისა და სოციალური წვდომის მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ადგილობრივი დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობის მიმართულების მიხედვით